ცდსა – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

2 სექტემბერს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე მეორე წრის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცდსა და თბილისის “დინამო”.

მოსკოველებმა პირველი ტაიმი მოწინააღმდეგეებზე უკეთ ჩაატარეს, ისინი თამაშობდნენ უფრო გეგმიანად, მაღალ ტემპში. მეცხრამეტე წუთზე პორხუნოვმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ჩააწოდა თბილისელთა კართან, მცველებმა ოდნავ დაიგვიანეს და ემიშევმა გახსნა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე კიტიამ მეორე ბურთი გამოიტანა კარიდან. იგი გაიტანა აგაპოვმა – 2:0.

თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ინიციატივა თბილისელებს ჰქონდათ ხელთ.. უკვე დასაწყისშივე ღოღობერიძემ სულ ახლოდან ააცილა ბურთი კარს. მალე კ. გაგნიძის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს, მერე მეკარე რაზინსკის ხელს, მერე კვლავ ძელს და დაუბრუნდა მოედანს. მე–17 წუთზე ღოღობერიძე პირისპირ დარჩა მეკარესთან და დაკარგა ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა.

თბილისის “დინამომ” განიცადა მორიგი დამარცხება ანგარიშით 0:2.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით – 2:0.

ვ. პავლოვი.

“ლელო”, 4 სექტემბერი, 1955 წ.